პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

ოთხშაბათი 14 იანვარი 1953 წ № 5 (604) ფასი 20 კაპ.

გამოცემის მე-9 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ყურადღება შეჯიბრების ორგანიზაციას!

სპორტული ღონისძიების სათანადოდ მომზადება და მისი ორგანიზებულად ჩატარება ფიზკულტურის კომიტეტების მნიშვნელოვანი ამოცანაა. შეჯიბრებისათვის საჭირო ყოველი საკითხის მოფიქრება, ყველა წვრილმანის დროზე გათვალისწინება — ეს უბრალო ტექნიკური ამბავი კი არ არის, არამედ თვით ღონისძიების მაღალ დონეზე წარმართვის და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჯერ ერთი, იგი მოწმობს მზრუნველობის გამოჩენას შეჯიბრების მონაწილეთა მიმართ, მეორეც უდავოდ გაზრდის მათ პასუხისმგებლობას, ჩაუნერგავს დისციპლინიანობის, საკუთარი და იმ ორგანიზაციის სპორტული ღირსების დაცვის გრძნობას, რომელმაც იგი წარგზავნა.

შეჯიბრების სათანადოდ მოწყობაში წვრილმანი არ არსებობს, ვინაიდან შეიძლება სულ მცირედის გაუთვალისწინებლობამაც კი საგრძნობლად დასცეს მისი სპორტული შედეგები და მისდამი ინტერესი. იმ შენობის სათანადოდ მოწყობა და გაფორმება, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობს, ღონისძიების რეგლამენტის დროზე დაყვანა მის თვითეულ მონაწილემდე, აფიშების, რადიოს, გაზეთის საშუალებით შეჯიბრების ფართო პროპაგანდა და მრავალი სხვა, — აი ყველაფერი ის, რაც უნდა გაკეთდეს შეჯიბრების მაღალ დონეზე მოსაწყობად, მრავალრიცხოვანი მაყურებლის დასწრების უზრუნველსაყოფად.

შეჯიბრების კარგი ორგანიზაციის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწურება. იგი არის სპორტის პროპაგანდის, მშრომელთა უფართოეს მასებში მისი დანერგვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. რაც უფრო უკეთ არის მოწყობილი ესა თუ ის ასპარეზობა, მით უფრო მეტი მაყურებელი ესწრება მას. და არა მარტო ესწრება როგორც მაყურებელი — სპორტსმენებთან ერთად განიცდის მათ წარმატებასა თუ დაბალ შედეგებს, იზრდება ინტერესი სპორტისადმი.

ფიზკულტურის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაკებისათვის ბუნებრივია, შეჯიბრების კარგი ორგანიზაციის დიდი მნიშვნელობა საიდუმლოებას არ წარმოადგენს. მით უფრო სოცარია ის არაორგანიზებულობა და გულგრილობა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მოწყობისადმი, როგორიც იყო 1953 წლის საქალაქო პირველობა ჭადრაკში. დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება წერილი ამ პირველობის შედეგების შესახებ. წერილში სავსებით სამართლიანად არის გაკრიტიკებული ამ ჩემპიონატის სერიოზული ნაკლოვანი მხარეები. ამბავი დაიწყო იმით, რომ საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა უცნაური და დაუშვებელი გულმავიწყობა გამოიჩინეს. მათ ჯერ გამოაცხადეს, რომ ეს იყო 1952 წლის პირველობა, მაგრამ შემდეგ გაახსენდათ, რომ ერთ წელიწადში ორჯერ პირველობის ჩატარება არ შეიძლება, ვინაიდან გასული წლის დასაწყისში იგი უკვე მოეწყო და თბილისს კიდეც ჰყავდა თავისი ჩემპიონი ჭადრაკში. ამიტომ საქალაქო კომიტეტის მუშაკები მაშინვე „გარდაიქმნენ“ და შეცდომა „გამოასწორეს“ — გამოაცხადეს, რომ ეს იყო 1953 წლის პირველობა. როგორც ცნობილია, ჩემპიონატი დაიწყო შარშან დეკემბერში და ამ რამდენიმე დღის წინ დამთავრდა. ამრიგად, კომიტეტის მუშაკების გულმავიწყობა კურიოზში გადაიზარდა — 1953 წლის ჩემპიონატი ახალი წლის დადგომამდე დაიწყო!

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის მუშაკების უდარდელობას და შეჯიბრების სათანადოდ მოწყობისადმი გულგრილობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ჩემპიონატი მიმდინარეობდა სრულიად არაორგანიზებულად — ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის“ საჭადრაკო კლუბში, სადაც შექმნილი არ იყო მისი ნორმალურად წარმართვის ელემენტარული პირობები: კლუბს არ გააჩნდა სადემონსტრაციო დაფები, რაც იწვევდა მაყურებელთა უკმაყოფილებას და ხმაურს დარბაზში. ისმება კითხვა: ნუთუ საქალაქო კომიტეტს არ შეეძლო უკეთესი პირობების შექმნა შეჯიბრების ნორმალურად წარმართვის უზრუნველსაყოფად? ან იქნებ მისთვის მთავარი იყო თვით ასპარეზობის მოწყობა კალენდარული გეგმის „დასამშვენებლად“ და არა მისი სპორტული შედეგები?

ყოველი შეჯიბრების კარგად ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული აგრეთვე მის მონაწილეთა დისციპლინიანობაზე. თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატი ამ მხრივაც არასახარბიელოდ გამოიყურებოდა. ოსტატობის კანდიდატმა გერშკოვიჩმა ჯერ არასპორტული საქციელი ჩაიდინა — სცადა მოუფიქრებლობის შედეგად გაკეთებული ცუდი სვლა უკან დაებრუნებინა, ხოლო ბოლოს სრული უდისციპლინობა გამოიჩინა. მან პირველობის დამთავრებას არ მოუცადა და მას თავი მიანება.

ჭადრაკში თბილისის საქალაქო პირველობის ასე ცუდად მოწყობა და მისი ზოგიერთი მონაწილის უდისციპლინობა და არასპორტული საქციელი შემთხვევითი როდია. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ საქართველოში ჭადრაკი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი სახეობაა. იმის ნაცვლად, რომ სწორედ ჭადრაკს, ჩვენს მოჭადრაკეებს მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, ხდება პირიქით. ჭადრაკის განვითარებაზე ზრუნვა ლაპარაკს არ სცილდება, მოჭადრაკეებთან არ მუშაობენ მათი სპორტული კვალიფიკაციის ასამაღლებლად და დისციპლინის, ამხანაგის მიმართ პატივისცემის გრძნობის ჩასანერგავად.

თუ რესპუბლიკის დედაქალაქში, რომელიც კარგ მაგალითს უნდა იძლეოდეს შეჯიბრების ორგანიზებულად მოწყობაში, ასე ხდება, ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობა იქნება რაიონებში. ჩვენს გაზეთში არაერთხელ გამოქვეყნებულა კორესპონდენციები იმის შესახებ, რომ ბევრგან შეჯიბრება დაუშვებელ პირობებში, სრულიად არაორგანიზებულად მიმდინარეობს. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს გასული წლის ნოემბერში ყაზბეგში მოწყობილი შეჯიბრება ყაზბეგისა და სოფელ სიონის სპორტსმენებს შორის, რის შესახებაც დღევანდელ გაზეთში ქვეყნდება კრიტიკული წერილი. ყაზბეგს არ გააჩნია კეთილმოწყობილი სტადიონი, რის გამოც მძლეოსნები იძულებული იყვნენ მოკლე დისტანციებზე რბენა ოღრო-ჩოღრო ადგილებში მოეწყოთ. ცხადია, ასეთ პირობებში მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ნათელია აგრეთვე, რომ ასე შეჯიბრების მოწყობას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია, ვინაიდან იგი არავითარ სპორტულ ინტერესს არ იწვევს, მის მონაწილეებს გულს აუცრუებს სპორტზე, ხოლო მაყურებელთა მხრივ სამართლიან უკმაყოფილებას გამოიწვევს.

ფიზკულტურის კომიტეტების გადაუდებელი ამოცანაა არ დაუშვან შეჯიბრების მოუმზადებლად მოწყობა. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ყოველი ასპარეზობა რა გინდ პატარა მასშტაბისა იყოს იგი, მაღალ დონეზე, ორგანიზებულად, ნაყოფიერად ჩაატარონ. ეს ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობას, სპორტსმენთა მრავალრიცხოვანი, ახალი კადრების აღზრდას, ფიზკულტურასა და სპორტში ნამდვილი მასობრივობის დანერგვას.

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტში

ძალოსნობაში სსრ კავშირის 1952 წლის პირველობის გათამაშების დროს ქალაქ სტალინგრადში, მოსკოვის ნაკრები გუნდის წევრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ნოვაკმა ჩაიდინა უხეში, ხულიგნური საქციელი სასტუმროს მომსახურე პერსონალის მიმართ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა გ. ნოვაკს მოუხსნა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება და დისკვალიფიკაცია გაუკეთა.

წინასაარჩევნო სტახანოვურ ვახტზე

მეტი და მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობას! — ასეთი ლოზუნგით მუშაობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კოლექტივი.

ქარხანამ, სადაც ფართოდაა გაშლილი ადგილობრივ საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. აქ ორგანიზებულად დაიწყო ახალი წელიც. ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა იანვრის ათი დღის დავალება.

საამწყობო-საამკრებო საამქროს ახალგაზრდა სპორტსმენმა მუშებმა პ. ბუგაშვილმა, ა. ხიზანიშვილმა, ა. ოვანესიანმა და სხვებმა უკვე შეასრულეს იანვრის დავალება და ახლა ისინი პროდუქციას უშვებენ ახალი წლის მეორე თვის — თებერვლის ანგარიშში.

ქარხანაში ახლა ყოველი დღე მაღალი შრომითი აღმავლობით აღინიშნება. მთელი კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ადგილობრივ საბჭოების არჩევნების დღე — 22 თებერვალი ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ. მათ ნაკისრი აქვთ ამ დღისათვის შეასრულონ ორი თვის გეგმა, რისთვისაც აქ თავდადებული შრომაა გაჩაღებული.

საბჭოთა მოციგურეების ბრწყინვალე გამარჯვება

10 იანვარს, მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო საბჭოთა კავშირის და შვეციის უძლიერეს მოციგურეთა ამხანაგური შეხვედრა.

ასპარეზობის პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება 500 და 5.000 მეტრზე რბენაში. საინტერესოდ ჩატარდა ბრძოლა 500 მეტრიან დისტანციაზე. ყველაზე უკეთესი დრო ჰქონდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ი. სერგეევს, — 43,2 წამი (იგი ასპარეზობაში მონაწილეობდა კონკურსგარეშე).

5.000 მეტრზე რბენაში გამარჯვა საბჭოთა მოციგურემ ბ. შილკოვმა — 8:26,3.

შეჯიბრების მეორე დღეს სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 1.500 და 10.000 მეტრზე რბენაში. შესანიშნავი შედეგი აჩვენა 1.500 მეტრიან დისტანციაზე ბ. შილკოვმა — 2:18,5. ამ დისტანციაზე რბენაში მეორე ადგილი წილად ხვდა ო. გონჩარენკოს (სსრ კავშირი) — 2:19,4, შვედ მოციგურეთა შორის 1.500 მეტრიან დისტანციაზე გამარჯვებული გამოვიდა შვეციის ერთ-ერთი უძლიერესი მოციგურე ს. ერიკსონი. მისი შედეგია — 2:24,1.

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა შეჯიბრება 10.000 მეტრიან დისტანციაზე. ს. ერიკსონმა დისტანცია დაფარა — 17:44,4. დიდხანს ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ შეძლო ამ შედეგის გაუმჯობესება. სტარტზეა მოციგურეთა მეექვსე წყვილი — კ. ასპლუნდი (შვეცია) და ო. გონჩარენკო (სსრკ). პირველსავე წრის გავლის შემდეგ ცხადი გახდა საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობა. გონჩარენკო დისტანციას ამთავრებს 17:29,0. ეს შედეგი საუკეთესო იყო 10 კილომეტრიან დისტანციაზე.

მრავალჭიდის ჯამში პირველ ადგილზე გამოვიდა ბ. შილკოვი (საბჭოთა კავშირი), რომელმაც დააგროვა 194,936 ქულა. მეორე ადგილი წილად ხვდა ო. გონჩარენკოს — 194,946 ქულა. შვეციის სპორტსმენთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა — ს. ერიკსონს — 198,833 ქულა და ასპლუნდს — 202, 635 ქულა.

ორდღიანი ასპარეზობის შედეგად პირველ ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის მოციგურეთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ვ. პროშინი, ბ. შილკოვი, ო. გონჩარენკო, ვ. ჩაიკინი, პ. ბელიაევი, ი. გოლოვჩენკო და ე. კრასილნიკოვი.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ — გ. ყირმელაშვილი, ა. ჯარბნიშვილი, ნ. გერცმანი და ნ. მეიფარიანი საარჩევნო უბანში კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვების დროს.

ფოტო ხ. ონაშვილისა

სპორტსმენები საარჩევნო უბანში

კონსტიტუციის ქუჩაზე ლამაზად ნაგებ ერთ-ერთი ორსართულიანი სახლის ელექტრო ლამპიონებით გაჩირაღდნებული შენობის ფასადს ამშვენებს ლამაზი წარწერა: „აგიტპუნქტი“.

შესასვლელიდან სპეციალურ მაჩვენებელს სუფთა და განიერი დერეფნებით მეორე სართულზე მდებარე კოხტად მორთულ ოთახში შევყავართ.

აქ, ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის შენობაში მოთავსებულია თბილისის ოცდამეჩვიდმეტე საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი.

ტექნიკუმის შენობაში მოთავსებული საარჩევნო უბანი მომსახურებას უწევს ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სამ სარაიონო და ორ საქალაქო საარჩევნო ოლქს. აგიტპუნქტს, რომელიც ამ საარჩევნო უბანს ემსახურება 60-მდე აგიტატორი ყავს. აგიტატორების უმრავლესობა ტექნიკუმის მასწავლებლები და სტუდენტები არიან. მათ შორის ბევრია სპორტის ოსტატი და პირველთანრიგოსანი, მაღალკვალიფიციური მწვრთნელი და მსაჯი.

საარჩევნო ლიტერატურით მდიდარ აგიტპუნქტში, რომლის გამგეა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. მეიფარიანი, სისტემატურად ტარდება აგიტატორთა სემინარები, ლექციები, მოხსენებები, საარჩევნო უბნის და ოლქების საარჩევნო კომისიების თათბირები.

საყურადღებოა, რომ ტექნიკუმის პედაგოგიური კოლექტივი და სტუდენტები მთლიანად ჩაბმული არიან საარჩევნო კომისიებისა და აგიტპუნქტების მუშაობაში. არჩევნებისათვის მზადების დღეებში ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაისაბჭოს არჩევნების № 145 სარაიონო საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ტექნიკუმის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ლორია, ამავე ოლქის საარჩევნო კომისიის წევრი, პირველთანრიგოსანი მოტომრბოლელი ნ. გერცმანი, № 146 სარაიონო საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ტექნიკუმის მძლეოსნობის მასწავლებელი გ. ლეჟავა, № 147 სარაიონო საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის წევრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი კ. გამრეკელი, № 148 სარაიონო საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის ოსტატი დ. კაპცოვი და სხვები.

ნაყოფიერად მუშაობს სპორტის ოსტატი, აგიტატორი გ. ყირმელაშვილი. მან ფიროსმანის ქ. № 19 სახლის ამომრჩევლებთან უკვე დაამთავრა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციისა და საარჩევნო დებულების გაცნობა. 10-მდე საუბარი ჩაატარა ამომრჩევლებთან რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა ს. ყიფიანმა.

საარჩევნო უბნის აგიტატორთა საავიტაციო მუშაობის ცენტრს წარმოადგენს აგიტპუნქტი, რომელიც ამ დღეებში საავიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ნამდვილი კერა გახდა. აგიტპუნქტი არჩევნებისათვის მზადების დღეებში ითვალისწინებს მრავალი საინტერესო ღონისძიების განხორციელებას.

გამოჩენილი ქართველი სპორტსმენები

გ. ს. ეგნატაშვილი

1912 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიის სპორტული საზოგადოებრიობის მიწვევით საქართველოს სპორტსმენთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ქ. პრაღაში გამართულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო პირველობაში. მათ შორის იყო 27 წლის ვაჟკაცი გიორგი სიმონის-ძე ეგნატაშვილი, რომელსაც წარჩინებული გამოსვლისათვის პირველი ხარისხის ჯილდო მიეკუთვნა.

გ. ს. ეგნატაშვილის სახელი თბილისელთათვის ამ შეჯიბრებამდეც იყო ცნობილი. მაშინდელი საჭიდაო ადგილის—ფიქრის გორის მოყვარულნი მას მეტსახელად „რუს გურგელას" უწოდებდნენ და საჭიდაოდ მის გამოსვლას ყოველთვის გულწრფელი სიხარულით ხვდებოდნენ.

გ. ს. ეგნატაშვილი დაიბადა თბილისში 1885 წელს, ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში — „პურის გორაკზე". 1892 წელს მისი მშობლები საცხოვრებლად გადადიან ვერის (ახლანდელი ელბაქიძის) დაღმართზე. საოცარია, მაგრამ აქ ცხოვრებამ მის ბიოგრაფიაში ერთგვარი როლი შეასრულა...

ვერის დაღმართზე რკინის მოაჯირი თითქმის ხიდამდე აღწევდა. ამ მოაჯირზე პატარა გიორგი თავის სიყრმის მეგობარ ოჰანეს არაქელოვთან ერთად განსაცვიფრებელ ვარჯიშებს იგონებდა. მან შემოიკრიბა სპორტის მოყვარული ახალგაზრდები და მისი ხელმძღვანელობით ჯგუფი ფიზიკურად იწრთობოდა. ზამთრობით მათი საყვარელი გასართობი იყო ციგაობა და გლუსუნებზე სიარული. ზაფხულობით, იქვე ხიდთან საცურაო ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი, მტკვრის პირას ჭიდაობასაც აწყობდნენ, თამაშობდნენ ლახტს, ახთურმას, ასრულებდნენ სხვადასხვა აკრობატულ ილეთებს.

15 წლის გიორგიმ მოჭიდავეთა წრე ჩამოაყალიბა. საკუთარი თანხით რამდენიმე საჭიდაო ჩოხა იყიდა და ყოველ საღამოს მტკვრის პირას მეცადინეობას ატარებდა.

...კვირა დღე იყო. ფიქრის გორა მაყურებლებს აევსოთ. უკრავდა ზურნა—ქართული ჭიდაობის მუდმივი თანამგზავრი. საჭიდაო სარბიელზე ჩოხაში კოხტად ჩაცმული გიმნაზიელი ლადო კაჟაძე გამოვიდა. მისი მოწინააღმდეგე —ახოვანი ვაჟკაცი, წლოვანებითაც მასზე დიდი იქნებოდა. ჭიდაობამ დიდხანს არ გასტანა. ლადომ თავისი საყვარელი ხერხით—მოგვერდით მოწინააღმდეგე მიწაზე დაანარცხა. შემდეგ გიორგი და ვეებერთელა ტანის მოჭიდავე გამოვიდნენ. მაყურებლებს სიცილიც კი წასკდათ. ეღიმებოდა გიორგის მოწინააღმდეგესაც კი, ალბათ ფიქრობდა: აბა, 15 წლის ბიჭი ჩემი რა მეტოქეაო. მაგრამ დამსწრეთა შორის ბევრი გიორგის მხარეზე იყო, სხვებს სანაძლეოც კი შესთავაზეს. გიორგიზე სრულიად არ იმოქმედა მოწინააღმდეგის გარეგნობამ. მან მოსინჯა მოჭიდავე და სწრაფად შეტევაზე გადავიდა. ორი-სამი წუთის შემდეგ გიორგის უკვე გამარჯვებას ულოცავდნენ.

ფიქრის გორა მეფის მთავრობისათვის საეჭვო ადგილად გადაიქცა. ამის გამო საჭიდაო სარბიელი მახათის მთაზე იქნა გადატანილი. გიორგი თავისი ამხანაგებით აქაც დადიოდა.

სწავლა გიორგიმ დაიწყო რკინიგზის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მშობლებს სურდათ ტექნიკურ სასწავლებელში მისი მოწყობა. მაგრამ მოხდა კურიოზი: საექიმო კომისიის გავლის შემდეგ მას უარი ეთქვა. მიზეზი, თურმე, მისი ზედმიწევნით კარგად განვითარებული... ორგანიზმი შეიქმნა. სასწავლებლის უფროსმა ასე განუცხადა გიორგის მშობლებს: „ჩვენთან მოჩხუბრებისათვის ადგილი არ გვაქვს. თქვენი შვილი კი როგორც ამას მისი გარეგნობა ადასტურებს, ჩხუბის მოყვარული უნდა იყოს". ამის შემდეგ გიორგის მშობლები იძულებული გახდნენ შვილი რკინიგზის სამმართველოში მოეწყოთ სამუშაოდ.

18 წლის ასაკში, 1903 წელს გიორგი იწყებს მეცადინეობას ტანვარჯიშულ ჯგუფში, რამაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. ამის შემდეგ მან მუშაობა თავის ამხანაგებთან ტანვარჯიშული განხრით წარმართა.

გ. ს. ეგნატაშვილი

★

ბავშვობიდანვე დაჩვეული სისწორეს, სიმართლეს, ამხანაგებისადმი დახმარებას, ცოდნის გაზიარებას, გ. ს. ეგნატაშვილი შემდეგში კიდევ უფრო ზუსტი და ნებისყოფიანი.. ჯგუფის პირველი მასწავლებლის, ცნობილი ჩეხი ტანმოვარჯიშის ა. ლუკეშის მარჯვენა ხელი გახდა.

გ. ს. ეგნატაშვილის წყალობით ქართველი ახალგაზრდების რიცხვი ჯგუფში თანდათან იზრდებოდა და იგი პირველ ვაჟთა გიმნაზიაში მეცადინეობდა.

1909 წელს, როგორც წარჩინებული ტანმოვარჯიშე და მასწავლებელი, გ. ეგნატაშვილი გაემგზავრა პრაღაში ტანვარჯიშულ კურსებზე. ამ კურსების ფრიადზე დამთავრების შემდეგ გ. ეგნატაშვილი ბრუნდება საქართველოში და იწყებს მასწავლებლობას თბილისის მე-4 ვაჟთა გიმნაზიაში. 1910 წლიდან 1916 წლამდე გ. ეგნატაშვილი არის პირველი ქართული გიმნაზიის მასწავლებელი და აქ ტანვარჯიშის საქმე სანიმუშოდ დააყენა.

1915 წელს გ. ს. ეგნატაშვილი ქმნის ტანმოვარჯიშეთა ჯგუფს მეხუთე ვაჟთა გიმნაზიაში და თვითონვე ამეცადინებს გ. მერკვილაძეს, კ. მაჭავარიანს, ლაზრიშვილს, ვ. პროკოფიევს, გ. გეხტმანს და სხვებს. ამავე წელს ეგნატაშვილის ინიციატივით ტანვარჯიშში მეცადინეობა პირველად დაიწყეს ქართველმა ქალებმა. მათ შორის უნდა აღინიშნოს თ. საყვარელიძე, ქიქოძე, ო. მენთეშაშვილი. ტანვარჯიშის პოპულარიზაციის მიზნით, მისივე ინიციატივით წელიწადში ერთხელ ეწყობოდა სპორტული გამოსვლები გიმნაზიების სპორტულ მოედნებზე და სხვაგან.

1916 წელს გ. ეგნატაშვილი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, მაგრამ იქაც არ ივიწყებს საყვარელ საქმეს და თავის გარშემო იკრებს სპორტის მოყვარულებს.

1918 წელს გ. ეგნატაშვილი დაუბრუნდა ქართულ გიმნაზიას. მას ახალგაზრდობა აღფრთოვანებით შეხვდა.

1919 წელს გ. ეგნატაშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს განათლების სამინისტროში ტანვარჯიშის მთავრად. განათლების სამინისტროში მუშაობისას იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. სამინისტროს მაშინდელ მესვეურთ — მენშევიკებს არ ესმოდათ და არ სურდათ გაეგოთ სპორტის მნიშვნელობა ბავშვთათვის. მათთვის არ იყო განკუთვნილი სპორტბაზები, თანხები და შექმნილი არ იყო პირობები ტანვარჯიშის განვითარებისათვის. გ. ეგნატაშვილი იძულებული გახდა პირადი თაოსნობით ემოქმედა. 1920 წელს მისი მოთხოვნით და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მასწავლებელთა სპორტული კურსები. მასში ჩაბმულთ იგი დაუღალავად გადასცემდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა საშუალება გ. ეგნატაშვილს ფართოდ გაეშალა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი.

1921 წლიდან 1929 წლამდე იგი განათლების სახალხო კომისარიატში მუშაობს ფიზიკური აღზრდის ინსპექტორად, ხელმძღვანელობს სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა სასწავლებლების მასწავლებელთა კურსებს, ჰქმნის სპორტულ ჯგუფს, რომელსაც სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ გასამრჯელოს გარეშე ამეცადინებს. 1924 წლიდან 1936 წლამდე გ. ეგნატაშვილი თბილისის ფიზკულტურის კომიტეტში ხელმძღვანელობს სპორტულ-ტექნიკურ განყოფილებას.

1924 წელს მის მიერ დაარსებულ იქნა განათლების მუშაკთა კავშირის ტანვარჯიშული წრე. წრე კარგად არ იყო უზრუნველყოფილი სპორტული ინვენტარით, მაგრამ მან ახლობელთა დახმარებით შეძლო ამ ნაკლის გამოსწორებაც: საკუთარი ხელით შეაკეთა საჭირო იარაღები, სპორტდარბაზის იატაკი. საშუალო სკოლებში ტანვარჯიშის პოპულარიზაციის მიზნით მან წრეში ჩააბა თბილისის სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, მაგალითად თ. გვეტაძე, თ. ჭავჭავაძე და სხვები. სწორედ გ. ეგნატაშვილს უმადლის ჩვენი რესპუბლიკა სპორტის ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების აღზრდას, როგორიც იყო პროფ. გ. ნიკოლაძე, როგორიც არიან გ. რცხილაძე, გ. მერკვილაძე, დ. ჩიკვაიძე, ა. ბაქრაძე, დ. ჯავრიშვილი, ნ. მეიფარიანი, გ. ბაბილოძე, ლ. ყანჩაველი, ა. ჯორჯაძე, ნ. თაყაიშვილი და სხვები. გ. ეგნატაშვილის ამაგი ამ სპორტსმენების მიმართ დაუვიწყარია იმიტომაც, რომ მან ყოველივე სასყიდლის გარეშე და ენერგიის დაუზოგავად ამეცადინა ისინი და საუკეთესო სპორტსმენებად გამოზარდა.

1925 წელს გ. ეგნატაშვილმა გამოსცა ფიზიკური მომზადების სახელმძღვანელო ოთხწლედებისათვის.

გ. ეგნატაშვილმა 1927 წელს შეიმუშავა 5 საკვალიფიკაციო პროგრამა. ამ დროისათვის ასეთი პროგრამა არ არსებობდა და ქართველი ტანმოვარჯიშენი ხელმძღვანელობდნენ მის მიერ შემუშავებული ვარჯიშებით. ოსტატთა პროგრამა პირველად გ. რცხილაძემ, ნ. მეიფარიანმა, გ. ბაბილოძემ და ლ. ყანჩაველმა აითვისეს.

დიდია გ. ეგნატაშვილის ღვაწლი სპორტული გამოსვლების მოწყობაში. 1910 წლიდან მისი ხელმძღვანელობით ტრადიციულად ეწყობოდა ტანვარჯიშული დღეები. მანვე უნივერსიტეტის ეზოში ტანმოვარჯიშეთა დახმარებით მოაწყო სპორტული მოედანი, სადაც ტრადიციულად ყოველ წელიწადს იმართებოდა მასობრივი თავისუფალი ვარჯიშები. განსაკუთრებით დაუვიწყარია 1920 წელს ვაკეში გამართული გრანდიოზული სპორტული გამოსვლა — მაისობა, რომელშიც 5.000 კაცი მონაწილეობდა.

გ. ეგნატაშვილს ძალიან უყვარს ბავშვები. ხშირად იგი ნორჩ სპორტსმენებს ირგვლივ შემოიკრებს და უყვება ძველ ამბებს, უზიარებს საკუთარ მდიდარ გამოცდილებას, უნერგავს მათ სპორტსმენისათვის აუცილებელ თვისებებს—სიმართლეს, დისციპლინას, შრომისმოყვარეობას.

გ. ეგნატაშვილის მოღვაწეობა სათანადოდ დააფასა საბჭოთა მთავრობამ. მას მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, დაჯილდოებულია ორდენით და მედლებით.

ამჟამად გიორგი სიმონის-ძე ეგნატაშვილი 67 წლისაა, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს პედაგოგიურ მუშაობას. იგი დაუღალავად ამეცადინებს ბავშვებს, მოზრდილებს და ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა ცენტრალურ სექციას.

ასეთია ამ სახელოვანი სპორტსმენის გზა, რომელიც ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის თავდადებული შრომის მკაფიო მაგალითია.

თ. სანებლიძე,
სპორტის ოსტატი.

ასპარეზობენ თბილისის ოლქის მეთხილამურეები

ბაკურიანი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ზამთრის დღეებში ყოველწლიურად უამრავი სტუმარი ჰყავს დაბა ბაკურიანს. აქ, სამთო-სათხილამურო სპორტის ამ შესანიშნავ ბაზაში თავს იყრიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მეთხილამურეები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ამანათრბენში, ტრამპლინიდან ხტომებში, რბენაში, სლალომსა და სწრაფდაშვებაში, ორჭიდსა და სამთო ორჭიდში. აქვე, მათი ამ დაძაბული სპორტული ასპარეზობის სანახავად მოდიან მრავალრიცხოვანი სპორტის მოყვარულნი.

სულ რამდენიმე დღეა, რაც აქ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სლალომისტთა ასპარეზობა. მაგრამ ბაკურიანის თოვლიან ფერდობებზე კვლავ ხალხმრავლობაა. აქ არც ერთი დღე არ გადის ისე, რომ რაიმე შეჯიბრება არ მოეწყოს სათხილამურო სპორტში.

კვირას, 11 იანვარს, ადრე გაიღვიძა თოვლის საბურველში გახვეულმა ბაკურიანმა. დილის 9 საათზე სამთო-სათხილამურო ბაზის ეზოში გაიმართა სათხილამურო სპორტში თბილისის ოლქის მიმდინარე წლის პირად-გუნდური პირველობის მონაწილეთა პარადი. კიდევ სულ რაღაც 2 საათი და „იაგორას ველზე" სტარტი მიეცა ამანათრბენს 4×5 კილომეტრზე. სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში პირველ ადგილზე გამოვიდა ბორჯომის რაიონის ვაჟთა პირველი გუნდი. მისი დროა 1.30:20,0. მეორე ადგილი წილად ხვდა ქ. თბილისის მეთხილამურეებს (1.35:26,0), ხოლო მესამე — ახალქალაქის რაიონის მეთხილამურეთა გუნდს (1.37:05,0).

ქალთა გუნდებს შორის ამანათრბენში ამავე დისტანციაზე გამარჯვება წილად ხვდა ქ. თბილისის გუნდს (2.02:49,0). მეორე ადგილზე გამოვიდა ბორჯომის რაიონის პირველი გუნდი (2.07:37,0), ხოლო მესამეზე— ბორჯომის რაიონის მეორე გუნდი (2.28:22,0).

შეჯიბრების მეორე დღეს, 12 იანვარს გაიმართა პირად-გუნდური პირველობა 10 კილომეტრზე რბენაში ვაჟთათვის და 5 კილომეტრზე ქალთათვის.

10 კილომეტრიან რბენაში ვაჟთა შორის პირად პირველობაში გამარჯვებული გამოვიდა ბორჯომის რაიონის პირველი გუნდის წარმომადგენელი ვ. მურჯიკნელი. მისი დროა 45 წუთი და 38 წამი. მეორე ადგილი წილად ხვდა ახალქალაქის რაიონის წარმომადგენელს ა. ბიბილურიძეს (46 წუთი და 30 წამი), ხოლო მესამე — ბორჯომის რაიონის პირველი გუნდის წარმომადგენელს ბ. არბოლიშვილს (48 წუთი და 48 წამი). ქალთა შორის 5 კილომეტრიან რბენაში საუკეთესო შედეგები აჩვენეს თბილისელმა მეთხილამურეებმა გ. ბრიტვინამ და ვ. კაკიაშვილმა პირველის დროა 28 წუთი და 02 წამი, ხოლო მეორესი — 32 წუთი. მესამე ადგილი წილად ხვდა ბორჯომის რაიონის პირველი გუნდის წარმომადგენელს თ. დიაკონაშვილს (32 წუთი და 58 წამი).

შეჯიბრება გრძელდება.

• • •

18-დან 20 იანვრამდე ბაკურიანში გაიმართება საქართველოსა და სომხეთის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მეთხილამურეთა შეხვედრები. 25-დან 28 იანვრამდე აქ მოეწყობა თბილისის ოლქის „კოლმეურნის" პირველობა. 1-დან 8 თებერვლამდე აქვე მოეწყობა ჩვენი რესპუბლიკის პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში. თებერვალში აქ მოეწყობა აგრეთვე მეთხილამურეთა საკავშირო დაუსწრებელი მასობრივი შეჯიბრება, ხოლო 21-დან 25 მარტამდე გაიმართება მოზარდ მეთხილამურეთა რესპუბლიკური შეჯიბრება.

ზამთრისათვის ცუდად მოემზადნენ

გორის რაიონში დიდი შესაძლებლობა არსებობს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაღალ დონეზე დასაყენებლად. რაიონის სპორტსმენებმა გასულ წელს საოლქო პირველობაში რამდენჯერმე დაიკავეს საპრიზო ადგილები. ეს მოხდა იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივ სპორტსმენებს არ ჰყავთ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები და არ ჰქონდათ კეთილმოწყობილი სპორტული ნაგებობანი.

რაიონის 59 კოლმეურნეობიდან ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი მხოლოდ 15 კოლმეურნეობაშია შექმნილი და მათგან თითოოროლა თუ მუშაობს კარგად. დანარჩენები კი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ და ფაქტიურად არაფერს აკეთებენ. ისეთ დიდ კოლმეურნეობებშიც კი, როგორიცაა სოფ. კარბის, მეჯვრისხევის, ტირძნისის სასოფლო-სამეურნეო არტელები, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი შექმნილი არ არის.

დადგა სპორტული ზამთარი. ღიაცის ქვეშ მეცადინეობა შეუძლებელი გახდა. არა მარტო სკოლებში, არამედ სხვაგანაც, მეტნაკლებად კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი არ არსებობს. გასულ წელს ექსპლოატაციაში უნდა გადაცემულიყო სოფელ ტყვიავისა და ვარიანის საშუალო სკოლების სპორტდარბაზები, ძაგრამ მათი მოწყობა დღესაც არ დამთავრებულა. რა უნდა გააკეთონ ზამთარში სპორტსმენებმა? ამაზე პასუხი უნდა გასცეს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა გორის რაიონულმა კომიტეტმა.

ნ. ბერიძე

ამასწინათ ბაკურიანში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მეთხილამურეთა ასპარეზობა. სურათზე: მარცხნივ — გიგანტურ ალაღომში მესამე ადგილზე გამოსული, სპორტის ოსტატი მ. გავა (საქართველო), მარჯვნივ — მოსკოვის „ბურევესტნიკის" წარმომადგენელი ვ. ტიურინი დისტანციაზე. ფოტო კ. კრიმსკისა

ნორჩ მოცურავეთა ასპარეზობა



მოსწავლეთა არდადეგების დღეებში მოეწყო ნორჩ სპორტსმენთა შეჯიბრებანი სპორტის მთელ რიგ სახეობებში. ერთ-ერთი მეტად საინტერესო ღონისძიება მოეწყო თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონის ზამთრის საცურაო აუზში. აქ ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს და სომხეთის სს რესპუბლიკების ნორჩი დინამოელები.

შეჯიბრება ჩატარდა მაღალ სპორტულ დონეზე. ნორჩმა მოცურავეებმა გამოამჟღავნეს ჩინებული ფიზიკური მომზადება, მაღალი სპორტული ტექნიკა. საქართველოს „ნორჩი დინამოელის“ მოცურავეებმა დაამყარეს მოზარდთა 5 ახალი რესპუბლიკური რეკორდი. ნიჭიერმა მოცურავემ რ. არკადიევამ თავისუფალი სტილით ცურვაში 100 და 200 მეტრზე შესაბამისად აჩვენა 1:17,9 და 2:56,0. ლ. შიხიკიანმა 100 მეტრი ბატერფლაის სტილით გასცურა — 1:18,2, ხოლო ვ. ჩერნოვმა იგივე დისტანციაზე ზურგით ცურვაში აჩვენა—1:17,0.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჭაბუკთა ცურვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით. ფინიშთან პირველი იყო საქართველოს გუნდის წარმომადგენელი ი. სიხარულიძე — 1:11,2, ხოლო 100 მეტრი ზურგით ყველაზე ადრე გასცურა ნ. სუნდუკოვამ (საქართველო) — 1:48,4.

საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში. გოგონათა შორის პირველი იყო მ. ბუაძე (3:51,5), ჭაბუკთა შორის — ბ. მეგედი (3:07,4)

თავისუფალი სტილით ცურვაში 400 მეტრზე წარმატებას მიაღწიეს სომხეთის გუნდის წევრებმა. გოგონათა შორის პირველი იყო ა. ისრაელიანი — 7:46,3, ხოლო ჭაბუკთა შორის — ბ. ანიშჩუკი (6:13,4).

ამანათცურვაში როგორც ჭაბუკთა, ისე გოგონათა შორის გამარჯვებული გამოვიდნენ საქართველოს გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს საქართველოს სსრ „ნორჩი დინამოელის“ მოცურავეებმა. გამარჯვებულები დაჯილდოებულ იქნენ სიგელებით და საჩუქრებით.

ასპარეზობის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქ. თბილისის ისტორიული ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მოღვაწეობასთან. ისინი ჩავიდნენ აგრეთვე ქ. გორში და ინახულეს დიდი ბელადის სახლმუზეუმი.

ლია ფაჩულია

• • •

სურათზე: ზემოთ — შეჯიბრებაში გამარჯვებული — საქართველოს „ნორჩი დინამოელის“ მოცურავე ჭაბუკთა გუნდი, წრეში — შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი, ქვევით — რ. არკადიევა.

ფოტო მ. ზარგარიანისა

სპორტული ღონისძიებები სტუდენტთა საზამთრო არდადეგების პერიოდში

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ნაუკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭო ბაკურიანში ხსნის ტურისტულ ბაზას. უკვე დამთავრებულია ექვსი სტანდარტული საექიმო კაბინეტის, კულტურული მუშაობისა და გართობა-დასვენების ოთახის მოწყობა, შეძენილია საზამთრო სპორტული ინვენტარი და სათხილამურო სპორტისათვის საჭირო იარაღები.

უმაღლესი სკოლების სტუდენტთა არდადეგებთან დაკავშირებით 25 იანვრიდან ბაკურიანში მოეწყობა სტუდენტ მეთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრება საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის სამინისტროს და სპორტსაზოგადოება „ნაუკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

სტუდენტ მეთხილამურეთა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ენერგიულად ემზადებიან სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეთხილამურეთა ნაკრები გუნდები. სტუდენტთა საზამთრო არდადეგების პერიოდში თბილისში მოეწყობა სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში, თავისუფალ ჭიდაობასა და ჭიდაობა „სამბოში“.

ამასთან ერთად ლენინგრადში, ხარკოვში, ლვოვსა და სარატოვში მოეწყობა სტუდენტთა საკავშირო ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში, კრივში, კალათბურთსა და ფრენბურთში. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოება „ნაუკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდები, რომლებიც ამჟამად საწვრთნელ მეცადინეობას გადიან საზოგადოების ცენტრალურ სექციებში.

ვამრავლოთ ალპინისტური გამარჯვებები

გასული, 1952 წელი ჩვენი რესპუბლიკის ალპინისტებისათვის საკმაოდ „მოსავლიანი“ იყო. სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა ალპინისტებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს თავიანთი უბადლო სპორტული ოსტატობა. ზაფხულისა და ზამთრის პერიოდში მოეწყო 7 მაღალმთიანი ლაშქრობა და ალპინიადა, 10 სპორტულ-საკვალიფიკაციო და 2 სარეკორდო ასვლა და ტრავერსი. მათში მონაწილეობდა რესპუბლიკის 1.000-ზე მეტი მამაცი და უნარიანი სპორტსმენი, რომელთაგან 775-მა ჩააბარა ნორმატივები „სსრ კავშირის ალპინისტის“ პირველი საფეხურის ნიშანზე, 60 ალპინისტმა შეასრულა ნორმატივები მესამე, მეორე და პირველ სპორტულ თანრიგზე, ხოლო ხუთმა — სპორტის ოსტატობაზე.

ამ ლაშქრობებს, ალპინიადებს, ასვლებსა და ტრავერსებს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი ალპინისტები ალექსანდრა ჯაფარიძე, ი. მარი, დ. წერეთელი, ო. გიგინეიშვილი, კ. ასტახიშვილი, დ. ობოლაძე, გ. მელია, ვ. ქირიკაშვილი, მ. უთმელიძე და ა. ივანიშვილი. ახალგაზრდა მზარდი მთასვლელები თ. ტატიშვილი, დ. ყანდარელი და ლ. ახვლედიანი. აღსანიშნავია, რომ თ. ტატიშვილს, დ. ყანდარელს და ლ. ახვლედიანს გასულ წელს პირველად მიეცათ დამოუკიდებელი ალპინიადების, ასვლებისა და ტრავერსების მოწყობის ხელმძღვანელობის უფლება. სასიხარულოა, რომ მათ გაამართლეს ნდობა და ბრწყინვალედ ჩაატარეს ეს ალპინისტური ღონისძიებები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ალპინისტები თავიანთი სპორტული მიღწევებით მუდამ იდგნენ საბჭოთა ალპინიზმის მოწინავე რიგებში. რთული და დიდი მანძილის ტრავერსების პირველი წამომწყები იყო სახელოვანი ქართველი ალპინისტი ალექსანდრე ჯაფარიძე. მას შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მრავალი რთული ალპინისტური ღონისძიება იქნა შესრულებული, ბევრმა საბჭოთა ალპინისტმა ისახელა თავი. მაგრამ ისეთი დიდი მანძილის ტრავერსი, როგორიც არის ცენტრალური კავკასიონის მთავარ ქედზე უმაღლესი და ურთულესი მწვერვალების: წურუნგალა, აილამა, ნამყვამი, შხარა (აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი), რუსთაველის პიკი, ჯანღა (აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი), კატინი, თეთნულდი და აგრეთვე მათ შორის მდებარე რამდენიმე უსახელო მწვერვალის ერთდროულად გადალახვა, გასულ წლამდე არ იყო განხორციელებული.

აი ამ რთული და საპატიო ამოცანის გადაჭრა გასული წლის აგვისტოში წილად ხვდა ქართველი ალპინისტების ძლიერ ჯგუფს გამოცდილი მთასვლელის ა. ნემსიწვერიძის მეთაურობით. ტრავერსის მონაწილეებმა გ. გულბანმა, რ. კვიციანმა, ს. გუგავამ გმირულად გადალახეს ყველა დაბრკოლება, მათ შორის მანამდე გაუვლელი აილამის ხერხისებური ქედი და ახალი გზით ავიდნენ აღმოსავლეთ შხარაზე. რთული და გრძელმანძილიანი ტრავერსი მათ წარმატებით დაამთავრეს 15 დღეში. ქართველ ალპინისტთა ეს გამარჯვება წარმოადგენს საერთაშორისო კლასის ახალ სპორტულ მიღწევას და გასულ წელს მოწყობილ ტრავერსებში მას მართებულად მიეკუთვნა პირველი ადგილი საბჭოთა კავშირში. მამაც ალპინისტებს ამ რთული და საპატიო ამოცანის განხორციელებაში დიდი დახმარება გაუწია ალპინისტების ლ. ახვლედიანის, დ. გალდავას, ზ. ახვლედიანის და დ. გუგავას შემადგენლობით მოწყობილმა დამხმარე ჯგუფმა.

გასულ წელს ქართველი ალპინისტების მეორე სარეკორდო მიღწევა იყო ცენტრალურ შხარაზე ჯერ კიდევ გაუვლელი გზით ასვლა სამხრეთის მხრიდან და შემდეგ შხარას სამივე მწვერვალის და მთელი ბეზინგის კედლის, აგრეთვე თეთნულდის გადალახვა. ასეთი რთული ალპინისტური ამოცანის გადამწყვეტი იყვნენ სახელმოხვეჭილი ალპინისტები — შხელდა-უშბას ტრავერსის გმირები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ბექნუ ხერგიანი (ხელმძღვანელი), ჭ. ჩართოლანი, მ. გვარლიანი და გამოცდილი ალპინისტება ბესარიონ ხერგიანი და ი. გაბლიანი. ამ რთული და საპატიო ამოცანის გადაჭრაში მამაც ალპინისტებს დიდი დახმარება აღმოუჩინა რ. ჯაფარიძის, დ. რატიანის, შ. ჩართოლანის და დ. ფალიანის მონაწილეობით შემდგარმა დამხმარე ჯგუფმა.

ორივე ეს სარეკორდო ალპინისტური ღონისძიება მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა საბჭოთა ალპინიზმის შემდგომი განვითარების რთულ და სასახელო გზაზე.

ეჭვს გარეშეა, რომ იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მზრუნველობითა და პასუხისმგებლობით ეპყრობიან ალპინისტური სპორტის განვითარებას, მუშაობაც კარგადაა დაყენებული. ასეა მაგალითად ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და გორში, დუშეთისა და ონის რაიონებში. ამ ქალაქებსა და რაიონებში პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებისა და ხელშეწყობის შედეგად ძირითადად კარგადაა მოწყობილი ალპინისტური მუშაობა.

ცხადია, როგორც მასობრიობაში, ისე სპორტულ-ტექნიკურ ნაწილში უკეთესი შედეგები გვექნებოდა, რომ ყველა ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებაში, მსხვილ საწარმოსა და უმაღლეს სასწავლებელში ისეთი დიდი ყურადღება ექცეოდეს ალპინისტური მუშაობის გაშლას, როგორც ეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია.

ალპინიზმის სპორტისადმი დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ ზემო და ქვემო სვანეთის, ზუგდიდის, ჭიათურის, საჩხერის, ყაზბეგის, მცხეთის, ბორჯომის, ხაშურის, თელავის და ახმეტის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტები, კომკავშირის რაიკომები და პროფკავშირული ორგანიზაციები. ასევე უპასუხისმგებლოდ ეპყრობიან ალპინიზმის განვითარებას აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში.

სტუდენტთა შორის ალპინიზმის დანერგვისათვის სრულიად არ ზრუნავენ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მსგავსი მდგომარეობაა თბილისის ზოოვეტერინარულ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, თბილისის სამედიცინო და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, ბათუმისა და სტალინირის პედაგოგიურ ინსტიტუტებშიც. ალპინისტურ სპორტს რატომღაც თავი მიანებეს აგრეთვე ქუთაისისა და სუხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთ ალპინისტურ სექციებს დღემდე სუსტად ხელმძღვანელობენ ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების „კოლმეურნის“, „ისკრის“, „მეტალურგის“, „შახტიორის“, „შრომითი რეზერვების“ და „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოები.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ გასულ წელს საქართველოში არაფერი გაკეთებულა კლდეზე მცოცავთა სპორტული ჯგუფების შესაქმნელად და მათთან სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის, შეკრებებისა და შეჯიბრებების მოსაწყობად. ამაში ბრალი მიუძღვის არა მარტო საქართველოს ალპურ კლუბსა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, არამედ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სასწავლო-სპორტულ განყოფილებასაც.

ამჟამად რესპუბლიკაში კლდეზე ცოცვის სპორტის განვითარებისათვის დასახულია გარკვეული პრაქტიკული ღონისძიებები. იმედია, რომ მათი განხორციელებით ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი მიმდინარე წელს აღმოფხვრილი იქნება.

ქართველი ალპინისტების ნორმალური მუშაობის შემაფერხებელ ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ არ ემსახურება მუდმივი საკონტროლო სამაშველო პუნქტები. ასეთი პუნქტები აუცილებლად უნდა შეიქმნას პირველ რიგში სოფ. მესტიასა და ყაზბეგში.

რესპუბლიკაში ალპინისტური სპორტის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზია აგრეთვე ალპინისტური საჭურველის სიმცირე. სპორტული ინვენტარით მოვაჭრე ორგანიზაციებს ძალზე მცირე რაოდენობით შემოაქვთ რესპუბლიკაში ალპინიზმის ინვენტარი. საკავშირო პროფსაბჭოს საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველო არ აწყობს ალპინისტური საჭურვლის გასაქირავებელ პუნქტებს. ამის გამო ვერ ხერხდება თვითმოქმედი ალპინისტური ჯგუფების შექმნა მაღალმთიანი ლაშქრობებისა და ასვლების მოსაწყობად. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ალპური კლუბი, რომლის მეშვეობითაც ძირითადათ სწარმოებს ალპინისტური მუშაობა რესპუბლიკაში, მომარაგებული არ არის საჭირო რაოდენობის ალპინისტური საჭურველით.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ 775 ახალგაზრდა მთასვლელს, რომელთაც გასულ წელს ჩააბარეს ნორმატივები „სსრ კავშირის ალპინისტის“ პირველი საფეხურის ნიშანზე, დღემდე არ მიუღიათ სამკერდე ნიშნები. ეს იმით აიხსნება, რომ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სასწავლო-სპორტული განყოფილება უყურადღებოდ ეპყრობა სამკერდე ნიშნებით მომარაგებისა და მათი დანიშნულებისამებრ ჩაბარების საქმეს.

ყოვლად გაუმართლებელია ის გარემოება, რომ დღემდე არ ხდება ალპინისტ-რეკორდსმენთა დაჯილდოება სპორტული მედლებით. ეს საკითხი მთელი სერიოზულობით უნდა დაისვას ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის წინაშე.

მიმდინარე წელს სრულდება საბჭოთა ალპინიზმის 30 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად მთელ საბჭოთა ალპინისტებთან ერთად ახალ, გაზრდილ სპორტულ ვალდებულებებს კისრულობენ ქართველი მთასვლელებიც.

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბს წელს დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდება მასობრივი ალპინიზმის შემდგომი განვითარებისათვის. ამ საქმეში ჩვენ მოველით რესპუბლიკის პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ქმედით დახმარებასა და ხელშეწყობას. ამ დახმარებითა და ხელშეწყობით ჩვენ უნდა შევძლოთ მასობრივ ალპინისტურ ლაშქრობებში რესპუბლიკის ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმა.

მიმდინარე წელს საბჭოთა ალპინიზმის 30 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ალპინისტური ღონისძიებანი. ზაფხულის პერიოდში მოეწყობა ყველა საბჭოთა ალპინისტის ერთდროული მასობრივი ასვლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მწვერვალზე და აქედან საზეიმო სალუტის მიცემა. მოეწყობა აგრეთვე მრავალი სპორტულ-საკვალიფიკაციო ასვლა კავკასიონის რთულ მწვერვალებზე მაღალთანრიგოსანი ალპინისტების მოსამზადებლად. რესპუბლიკის უძლიერესი ალპინისტები გაიგზავნებიან პამირზე და ტიან-შანზე 6.000-7.000 მეტრის სიმაღლის მწვერვალებზე ასვლების მოსაწყობად.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით და ყურადღებით საქართველოს ძლიერი ალპინისტური კოლექტივი, როგორც ყოველთვის, წელსაც თავდადებით იბრძოლებს ახალი, შესანიშნავი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

ა. ივანიშვილი,

საქართველოს ა. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

წერილების კვალდაკვალ

ამ რამდენიმე ხნის წინათ რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომლის ავტორი ამხილებდა ორჯონიკიძის რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

როგორც საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ხამხარაძე გვატყობინებს, კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განიხილა პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ და დასახა ღონისძიებები მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პირველობა ჭადრაკში

ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღებას იპყრობდა თბილისის უძლიერეს მოჭადრაკეთა 1953 წლის პირველობა. ამ ტრადიციულ ტურნირს წინ უსწრებდა 6 ნახევარფინალური შეჯიბრება, რომელშიც ასამდე პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ფინალურ ტურნირში, რომელიც გასული წლის დეკემბერში დაიწყო, თამაშობდა ოსტატობის 4 კანდიდატი და ნახევარფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული 11 პირველთანრიგოსანი.

მიუხედავად იმისა, რომ პირველობაში არ მონაწილეობდნენ ოსტატები ა. ებრალიძე, მ. შიშოვი და ზოგიერთი ოსტატობის კანდიდატი, იგი მაინც საინტერესო გამოდგა.

პირველობისათვის ბრძოლა თავიდანვე გიორგაძეს, ბუსლაევს, გაჩეჩილაძესა და კალატოზიშვილს შორის შეუპოვარი ჭიდილით დაიწყო. მე-6 ტურამდე წინ მიდიოდა კალატოზიშვილი. დავრანიანთან დამარცხების შემდეგ მან დაკარგა წონასწორობა და კიდევ წააგო გოლუბთან. ამის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო გიორგაძემ, რომელმაც ენერგიული თამაშით იგი ბოლომდე შეინარჩუნა.

თბილისის 1953 წლის ჩემპიონის საპატიო სახელი დაიმსახურა ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ, რომელმაც ათი პარტია მოიგო, სამი ყაიმით დამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო. მან გამოამჟღავნა საჭადრაკო თეორიის კარგი ცოდნა, რაც საშუალებას აძლევდა ძალების ნაკლები დაძაბვით გაემარჯვა.

საპრიზო მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს თბილისის გასული წლის ჩემპიონმა ა. ბუსლაევმა და პირველთანრიგოსანმა გ. გაჩეჩილაძემ. თვითეულმა მათგანმა მოაგროვა 11 ქულა 14 შესაძლებლიდან.

ბუსლაევმა სუსტად აიღო სტარტი და პირველ ოთხ ტურში მხოლოდ $1^1/_2$ ქულა დააგროვა. მაგრამ უკვე დანარჩენ მომდევნო ათივე პარტიაში მან მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა. ბუსლაევის საუცხოო ფინიში ლაპარაკობს მისი ნებისყოფის სიმტკიცეზე.

გ. გაჩეჩილაძე ცნობილია როგორც ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ძლიერი პირველთანრიგოსანი. ამ შეჯიბრებაში მან გამოავლინა პოზიციის შეფასების კარგი ცოდნა და კრიტიკულ მომენტებში საჭირო ნებისყოფა. იმედია, რომ იგი არ შეჩერდება ამ წარმატებაზე და მომავალში უფრო მაღალ შედეგებს მიაღწევს.

საერთო მოწონება დაიმსახურა თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კაბინეტის წევრის, მოსწავლეთა შორის საქართველოს 1952 წლის ჩემპიონის თ. კალატოზიშვილის გაბედულმა და შონდომებულმა თამაშმა. ახალგაზრდა მოჭადრაკემ მთელ რიგ პარტიებში გვიჩვენა თამაშის კომბინაციური გზების მონახვის უნარი. მისი თამაშის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ხშირად მას დრო არ ჰყოფნის სვლების მოფიქრებისათვის და ამის გამო თითქმის ყოველ პარტიაში ცაიტნოტში ვარდება. საჭიროა ახალგაზრდა მოჭადრაკემ დაძლიოს თამაშის ეს ხარვეზი.



სურათზე: ზევიდან ქვევით — თ. გიორგაძე, გ. გაჩეჩილაძე და ა. ბუსლაევი.

გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გააუმჯობესა თამაშის კლასი ა. დავრანიანმა. როგორც ტურნირის პარტიებიდან ჩანს, მას ბევრი უმუშავია დებიუტების შესწავლაზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ზოგჯერ ვერ ახერხებს დებიუტში მიღებული აშკარა უპირატესობის რეალიზაციას.

მხოლოდ ცუდი სპორტული ფორმით აიხსნება ო. ელიოზიშვილისა და ბ. ვეიზერის დაბალი შედეგები.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ ტურნირში გათამაშებული პარტიების უმრავლესობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ეს იმას მოწმობს, რომ თბილისის მოჭადრაკეები ჯერ კიდევ ნაკლებად მუშაობენ თამაშის კლასის ამაღლებაზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შეჯიბრება არ იყო კარგად ორგანიზებული. ისეთი ტურნირისათვის, როგორიც თბილისის პირველობაა, სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკის" საჭადრაკო კლუბი შეუფერებელი იყო.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საქალაქო კომიტეტს ეს ადრე უნდა გაეთვალისწინებინა და მოეძებნა შესაფერისი სათამაშო დარბაზი.

შეჯიბრებაზე ადგილი ჰქონდა ზოგიერთი მონაწილის მიერ სატურნირო დისციპლინის დარღვევას. მაგალითად, გერშკოვიჩმა გიორგაძესთან პარტიაში უკვე გაკეთებული სვლა სცადა უკან დაებრუნებინა, აგრეთვე მსაჯთა კოლეგიის გაუფრთხილებლად იგი არ გამოცხადდა გაჩეჩილაძესთან პარტიის სათამაშოდ, რომელსაც საპრიზო ადგილის გამოსარკვევად მნიშვნელობა ჰქონდა.

ბუსლაევი მიქაელიანთან გადადებული პარტიის დამთავრებისას აშკარად საყაიმო პოზიციაში, რაც მას ხელს არ უწყობდა, არასწორად მოიქცა. მაშინ, როცა მისი სვლის ჯერი იყო, იგი დემონსტრაციულად ადგა და გააბა საუბარი მაყურებლებთან. ხოლო მაშინ, როცა პარტია ყაიმით დამთავრდა, მან მიუგდო მიქაელიანს პარტიის ჩაწერის სპეციალური ბლანკი ხელმოუწერავად.

უტაქტოდ იქცეოდა აგრეთვე გოლუბი, რომელმაც არაერთი შენიშვნა მიიღო მსაჯთა კოლეგიისაგან.

ნაკლი ჰქონდა თავის მუშაობაში მსაჯთა კოლეგიასაც. იგი შეჯიბრების პროცესში წამოჭრილი ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტაში სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენდა.

პ. ხიზანიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

რედაქციისაგან: ამხ. პ. ხიზანიშვილის მიერ წერილში მოცემული ქ. თბილისის საჭადრაკო ჩემპიონატის ანალიზი ძირითადად სწორია და რედაქცია ეთანხმება ავტორს. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ წერილში ჩამოთვლილი ხარვეზების გარდა, ამ შეჯიბრებას ახასიათებდა სხვა უფრო სერიოზული ნაკლოვანებებიც. ერთ-ერთი მათგანია შეჯიბრების ჩატარების სისტემის გაურკვევლობა. ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის საქალაქო კომიტეტი ამ შეჯიბრებას რატომღაც უწოდებს 1953 წლის პირველობას. თუ ეს მართლაც 1953 წლის პირველობაა, რამ აიძულა ფიზკულტურის თბილისის საქალაქო კომიტეტი დაეწყო იგი გასული წლის დეკემბერში? ნუთუ მიმდინარე წელს დრო არ ეყოფოდათ ამ შეჯიბრების ჩატარებისათვის? საქმე იმაშია, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს ეს შეჯიბრება თავიდან მიაჩნდათ 1952 წლის პირველობად. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ მათ დაავიწყდათ ერთი პატარა გარემოება: სახელდობრ ის, რომ თბილისის 1952 წლის საჭადრაკო პირველობა უკვე ჩატარებული იყო იმავე წლის იანვარ-თებერვალში. შემდგომში, ცოტა უფრო გვიან, მათ „გაახსენდათ" ეს გარემოება და მდგომარეობიდან ადვილი გამოსავალი იპოვეს: ხელდახელოდ გამოაცხადეს ეს ჩემპიონატი 1953 წლის პირველობად. ეს გარემოება ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ფიზკულტურის თბილისის საქალაქო კომიტეტი და მისი საჭადრაკო სექცია უპასუხისმგებლოდ ეპყრობიან ისეთ სერიოზულ ღონისძიებათა ჩატარებას, როგორიცაა ქალაქის საჭადრაკო პირველობა.

სპორტის ახალი სახეობანი

შედგენილია ყაზბეგის საშუალო სკოლის მოსწავლეთა ჯგუფის წერილის მიხედვით

ქვემოთ მოთხრობილი ამბავი მართალია, გასული წლის ნოემბერში მოხდა, მაგრამ დროზე ზომები თუ არ მიიღეს, იგი ყოველთვის განმეორდება და ყაზბეგის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელებს უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებს.

ყაზბეგში დანიშნული იყო შეჯიბრება სპორტის რამდენიმე სახეობაში სოფ. სიონისა და ყაზბეგის გუნდებს შორის. ასეთი მასობრივი ღონისძიება აქ იმდენად იშვიათ ამბავს წარმოადგენდა, რომ სტადიონისაკენ შუადღიდან იწყო ხალხმა დენა.

დაიწყო შეჯიბრება 100 მეტრზე რბენაში. მის მონაწილეებს სტარტი მიეცათ ძახილით: „წინ". სპორტსმენები წინ კი წავიდნენ, მაგრამ ვაი ამ წასვლას. ერთმა ქვას ფეხი წამოჰკრა და წაიქცა. მეორე ზიგზაგებით მირბოდა — დასერილ ადგილებს გულმოდგინედ გარს უვლიდა. მესამემ ჯერ სცადა ფინიშისაკენ უმოკლესი გზით — პირდაპირ გაქცევა, მაგრამ ვერ შეძლო და მეორის გაკვალულ გზას გაჰყვა. მეოთხემ სტარტიდან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, „ვაი" დაიძახა და ფინიშამდე დარჩენილი მანძილი ცალი ფეხით გაირბინა.

ას მეტრზე მორბენლებს კიდევ რა უშავდათ — ისინი მოკლე მანძილით გადარჩნენ. მაგრამ რა უნდა ექნათ 400 მეტრზე რბენაში შეჯიბრების მონაწილეებს? მათ გაითვალისწინეს წინამორბედთა მწარე გამოცდილება, მაღალ სპორტულ შედეგს ჯანმრთელობა ამჯობინეს და მანძილი სტარტიდან ფინიშამდე კი არ გაირბინეს, არამედ გაისეირნეს!

მაყურებლები ამ უცნაურ შეჯიბრებას გაოცებით შესცქეროდნენ.

— მთვრალი იყო, — დაასკვნა ერთმა ზიგზაგებით მორბენალზე.

— არა! — არ დაეთანხმა მეორე, — ალბათ ნასვამი იყო. აი ის კი, ცალი ფეხით რომ მირბოდა, ვიცნობ, აქაურია, ალბათ ფეხსაცმელმა მოუჭირა.

— კი, მაგრამ ყველა ნასვამია ან ვიწრო ფეხსაცმლით გამოვიდა? — ეჭვი გამოთქვა მესამემ. — ალბათ სპორტის ახალი სახეობაა — რბენა დასერილ მოკლე დისტანციაზე.

ვიდრე დასერილ დისტანციაზე რბენით დასერილი მორბენლები დაზიანებულ ხელ-ფეხს იმუშებდნენ, შეჯიბრების ორგანიზატორები ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ვაჟკაცობა სწორედ ამ ოღრო-ჩოღრო ადგილებში რბენაა, თორემ კარგ მოედანზე ბიჭობის გამოჩენა ყველას შეუძლიაო.

ვიდრე მაყურებლები კამათობდნენ, შეჯიბრების მესვეურებს დავა სხვა საკითხზე გაემართათ. სიონის ფეხბურთელები სპორტული ფორმის გარეშე ჩამოსულიყვნენ. დავის ერთმა მონაწილემ წინადადება შეიტანა — მათ ყაზბეგელების ფორმის ნაწილი ვთხოვოთო. მეორე არ დაეთანხმა, მსაჯს სიონელები და ყაზბეგელები ერთმანეთში აერევაო. დავა მაშინ შეწყდა, როცა გამოსავალი ვერ ნახეს და გადაწყვიტეს, შეჯიბრება არ ჩაეტარებინათ.

უკმაყოფილო მაყურებლები ბუზღუნით დაიშალნენ და თანაც ფიქრობდნენ: ნუთუ ყაზბეგის სტადიონს კეთილმოწყობილი სარბენი ბილიკი არასოდეს არ ეღირსება, ხოლო სიონელ სპორტსმენებს — ფორმებიო.

მ. დავითიძე

შეჯიბრებები სასროლო სპორტში

ამას წინათ გორში გაიმართა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ისკრის" საქალაქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება მცირეყალიბიან შაშხანიდან სროლაში.

ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 50-მა სპორტსმენმა. გუნდური პირველობა მოიპოვეს ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მსროლელებმა.

ინდივიდუალურ ჩათვლაში გაიმარჯვა პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა ს. ლომიძემ, რომელმაც 200 შესაძლებლიდან დააგროვა 180 ქულა.

ი. დავითაშვილი

* * *

ამას წინათ ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტირში მოეწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა ასპარეზობა მცირეყალიბიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში, რომელშიც მონაწილეობდა 148 სპორტსმენი.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ სამკურნალო ფაკულტეტის წარმომადგენლები. პირად პირველობაში ვაჟთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგი ჰქონდა სტომატოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს ი. ჭელიძეს (50 შესაძლებლიდან — 50 ქულა). ქალთა შორის გაიმარჯვა სანიტარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ნ. დოლონაძემ (50 შესაძლებლიდან 45 ქულა).

გ. ჭელიძე

სპორტული ქრონიკა

მახარაძე. აქ გაიმართა რაიონის სასკოლო პირველობის გათამაშება კალათბურთში. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ცხემლისხიდის საშუალო სკოლის კალათბურთელებმა. მოეწყო აგრეთვე მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება ტანვარჯიშში. გუნდურ გათამაშებაში პირველ ადგილზე გამოვიდა ქალთა I საშუალო სკოლის კოლექტივი. პირად პირველობაში ქალთა შორის გაიმარჯვა ნ. მარშანიამ, ხოლო ვაჟთა შორის — ს. უჯმაჯურიძემ.

ქ. გოგატაძე

* * *

სიღნაღი. ამას წინათ წნორში მოეწყო წნორის საშუალო სკოლისა და სიღნაღის სპორტსკოლის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების შეხვედრა. ორივე შეხვედრა დამთავრდა წნორელ მოსწავლეთა გამარჯვებით.

ფ. ჯავაშვილი

თელავი. ადგილობრივ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში რაიონის სპორტსკოლის და სოფ. ქისტაურის (ახმეტის რაიონი) გუნდებს შორის.

თამაში მოიგეს თელაველებმა ანგარიშით 3:1.

თ. ალბუთაშვილი

* * *

ლაგოდეხი. რაიონული ცენტრის ფრენბურთის მოედანზე მოეწყო ამხანაგური შეხვედრა ლაგოდეხის რუსული და სოფელ აფენის საშუალო სკოლის ფრენბურთელთა გუნდებს შორის. მატჩი მოიგეს ლაგოდეხელებმა ანგარიშით 2:1.

გ. კოკილაშვილი

ყოველი მხრიდან

პარიზი. საფრანგეთის და ბელგიის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრანგი კალათბურთელების გამარჯვებით 50:49.

* * *

სოფია. ცნობილმა ბულგარელმა სპორტსმენმა პ. სპასოიამ დაამყარა სამი ახალი ეროვნული რეკორდი: 1.500 მეტრზე (3:53,7), დაბრკოლებებით 3.000 მეტრზე (9:08.8) და 10.000 მეტრზე რბენაში (31:07,4). ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა აგრეთვე 800 მეტრზე რბენაში ნეიშევმა — 1:52,9.

* * *

სტოკჰოლმი. შვეციის და შვეიცარიის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა შვედების გამარჯვებით (8:1 და 12:3).

ადის-აბება. შვეციის ფეხბურთელთა გუნდმა აიკ-მა მოუგო ადის-აბების ნაკრებს ანგარიშით 2:0.

ბუდაპეშტი. უნგრეთის 1952 წლის ჩემპიონის სახელწოდება ფეხბურთში მოიპოვა „ჰონვედმა", რომელმაც დააგროვა 46 ქულა 50 შესაძლებლიდან. მეორე ადგილზეა „ბაშტია" — 45 ქულა. შემდეგ არიან „დოჟა" — 35 ქულა, „ვაშაში" — 33 ქულა და „ჩეპელი" — 25 ქულა.

რედაქტორი ე. მახათაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორისა — 3-61-92, პ/მგ მდივნისა და განყოფილებებისა — 3-90-34. მორიგისა და გამოშვებისა — 3-38-25.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14

უე 00712